

შპს ენაგას-ჯგუფი, ს/გ: 212905472
აღმინისტრაციული

+ ანგარიშგების დამატება

გამოთვინილი

2019 წლის ინდივიდუალური ანგარიშგება

იმ სანარმოთა საყურადღებოდ, ვინც 2018 ან 2017 წელს წარადგინა ანგარიშგება!

ვებგვერდის განახლების გამო ვერ ხერხდება თქვენ მიერ გასულ წელს შევსებული ინფორმაციის ავტომატურად გადმოტანა ახალ სისტემაში. აღნიშნული ინფორმაცია შენახულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ანგარიშგების წარდგენის ჩანართში. გთხოვთ, მიმდინარე წლის ინფორმაციის შევსებისას ასევე შეავსოთ შესაძარის ინფორმაცია. სამსახური მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და ბოდიშს გიხდით შექმნილი უხერხულობისთვის.

ციფრული ფორმატი

გამარტივებული ფორმები მესამე კატეგორია

მცირე და საშუალო სანარმოების ფინანს

არჩევა

ციფრული ფორმატის შვსაგის ერთეული

გთხოვთ, ციფრული ფორმები შეავსეთ ერთეულ ლარში, ისევე როგორც შესაძარის წლებზე ინფორმაცია.

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფას სტანდარტი)

ფინანსური მდგომარეობა საქმიანობის შედეგები ფულადი სახსრების მოძრაობა

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2019	31/12/2018	01/01/2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	143,040	213,837	141,094
საეჭრო მოთხოვნები	930,075	803,837	676,741
გადახდილი ავანსები	199,007	53,839	219,967
მარაგები	1,833,523	1,820,297	1,511,393
შპს პროდუქცია	0	0	0
სხვა	1,833,523	1,820,297	1,511,393
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	4,016	3,766	3,087
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0

ტექნიკური მხარდაჭერისათვის დაგვიკავშირდით ელ. ფოსტის მისამართზე: info@reportal.ge

სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	700,947	690,503	506,907
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა სანარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	3,810,608	3,586,079	3,059,189
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	445,412	490,575	397,097
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	30,973	24,049	22,230
საგადასახადო ვალდებულებები	28,960	17,415	6,600
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	449,853	808,202	450,000
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1,017,069	300,140	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	771	0	0
სულ ვალდებულებები	1,973,038	1,640,381	875,927
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	100,000	100,000	100,000
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1,737,570	1,845,698	2,083,262
გადაფასების რეზერვი	0	0	0
სხვა რეზერვები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1,837,570	1,945,698	2,183,262

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები



3,810,608



3,586,079



3,059,189

< ანგარიშგება

შენახვა

პასუხისმგებელი: ზიზი

ცხიჯე ელხაიძე



+ ანგარიშგების დამატება

ჩამოთვლილი

2019 წლის ინიციატიული ანგარიშგება

იმ საწარმოთა საყურადღებოდ, ვინც 2018 ან 2017 წელს წარადგინა ანგარიშგება!

ვებგვერდის განახლების გამო ვერ ხერხდება თქვენ მიერ გასულ წელს შევსებული ინფორმაციის ავტომატურად გადმოტანა ახალ სისტემაში. აღნიშნული ინფორმაცია შენახულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ანგარიშგების წარდგენის ჩანართში. გთხოვთ, მიმდინარე წლის ინფორმაციის შევსებისას ასევე შეავსოთ შესადარისი ინფორმაცია. სამსახური მაღლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და ბოდიშს გიხდით შექმნილი უხერხულობისთვის.

ციფრული ფორმები

გამარტივებული ფორმები მესამე კატეგორიაში

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსი

არჩევა

ციფრული ფორმების შევსების ერთეული

გთხოვთ, ციფრული ფორმები შეავსეთ ერთეულ ლარში, ისევე როგორც შესადარისი წლებზე ინფორმაცია.

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფას სტანდარტი)

[ფინანსური მდგომარეობა](#)

[საქმიანობის შედეგები](#)

[ფულადი სახსრების მოძრაობა](#)

საქმიანობის შედეგები

	2019	2018
ნეტო ამონაგები	9,387,516	7,752,102
საქონლის გაყიდვიდან	9,359,626	7,728,702
მომსახურების გაწევიდან	27,890	23,400
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-7,442,894	-6,154,160
საწყისი მარაგები	-1,820,297	-1,511,393
მარაგების შესყიდვა	-7,456,120	-6,463,064
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	1,833,523	1,820,297
საერთო მოგება	1,944,622	1,597,942
სხვა შემოსავალი	11,196	8,288
დასაქმებულთა ანაზღაურება	-531,771	-483,285

ცვეთა და ამორტიზაცია	-48,653	-44,384
საპროცენტო შემოსავალი:	0	0
საპროცენტო ხარჯი :	-130,314	-85,478
იჯარის ხარჯი	-79,141	-62,397
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-327,601	-220,681
სულ საოპერაციო ხარჯები	-1,106,284	-887,937
საოპერაციო მოგება	838,338	710,005
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	0	0
მარაგები	0	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-60,153	-54,513
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	65,903	31,534
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	844,088	687,026
მოგების გადასახადი	-10,402	-6,653
მოგება/(ზარალი)	833,686	680,373
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	833,686	680,373
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,945,698	2,183,262
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება შესაკუთრებებზე (მათ შორის დივიდენდი)	-800,542	-780,246
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-141,272	-137,691

კაპიტალის სხვა ცვლილებები

0

0

საკუთარი კაპიტალი საანგარიშებო პერიოდის ბოლოს



1,837,570



1,945,698

< ანგარიშგება

შენახვა

პასუხისმგებელი

პიჩი

მ. ჯიქაძე



შპს ანგარ-ჯგუფი, ს/ნ: 212905472

აღმინიშრობის

+ ანგარიშგების დამატება

რამდენიმე

2019 წლის ინდივიდუალური ანგარიშგება

იმ საწარმოთა საყურადღებოდ, ვინც 2018 ან 2017 წელს წარადგინა ანგარიშგება!

ვებგვერდის განახლების გამო ვერ ხერხდება თქვენ მიერ გასულ წელს შევსებული ინფორმაციის ავტომატურად გადმოტანა ახალ სისტემაში. აღნიშნული ინფორმაცია შენახულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ანგარიშგების წარდგენის ჩანართში. გთხოვთ, მიმდინარე წლის ინფორმაციის შევსებისას ასევე შეავსოთ შესაძარისი ინფორმაცია. სამსახური მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და ბოდიშს გიხდით შექმნილი უხერხულობისთვის.

ციფრული ფორმები

გამარტივებული ფორმები მესამე კატეგორიაში

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსი

არჩევა

ციფრული ფორმების შევსების არსებული

გთხოვთ, ციფრული ფორმები შეავსეთ ერთეულ ლარში, ისევე როგორც შესაძარისი წლებზე ინფორმაცია.

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასი სტანდარტი)

ფინანსური მდგომარეობა საქმიანობის შედეგები ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	563,708	518,359
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-64,240	-220,298
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-550,024	-207,382
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	50,556	90,679
სავალუტო კურსის ეფექტი	-20,241	-17,936
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	213,837	141,094
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	143,040	213,837

< ანგარიშგება

შენახვა



Handwritten signature and text: "ანგარ-ჯგუფი" (Anghar-Group)

შპს „ემ ემ ეს ჯგუფი“

2019 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

- 1.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- 2.სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგება-ზარალის ანგარიშგება
- 3.საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.

განმარტებები და შენიშვნები 2019 წლის ანგარიშგებასთან დაკავშირებით

- 1.საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია
- 2.სამუშაო გარემო
- 3.სააღრიცხვო პოლიტიკა და შეფასებები
- 4.ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები
- 5.ძირითადი საშუალებები
- 6.სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები
- 7.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- 8.ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები
- 9.სესხები
- 10.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
- 11.შემოსავლები (ამონაგები)
- 12.რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება
- 13.სხვა საოპერაციო შემოსავლები
- 14.ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები
- 15.ფინანსური ხარჯები
- 16.ფინანსური შემოსავალი
- 17.საწესდებო კაპიტალი
- 18.მოგების გადასახადი
- 19.ფინანსური რისკების მართვა.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა განმარტება

1. საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ემ ემ ეს ჯგუფის“ (კომპანია) საიდენტიფიკაციო ნომერია 212905472. კომპანია დარეგისტრირდა 2007 წლის 3 დეკემბერს და ფუნქციონირებს საქართველოში. კომპანია შეიქმნა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. ქუთაისი ნიკეას ქ. N 14ა. დამფუძნებლები: 1). შოთა გოგლიჩიძე (წილი 34%) 2). მერაბი ტყეშელაძე (წილი 33%) 3). ვასილი ნეფარიძე (წილი 33%).

შპს „ემ ემ ეს“ ჯგუფი ფლობს საცალო მაღაზიათა ვაჭრობის ქსელს ქ. თბილისში და ქ. ქუთაისში (თბილისში - 2 მაღაზია, ქუთაისში - 1 მაღაზია), აწარმოებს საქონლის საბითუმო დისტრიბუციას საქართველოს მასშტაბით.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ავტომობილის იმპორტირებული საბურავების, საპოხი მასალების, აკუმულატორების და სხვა სათადარიგო ნაწილების გაყიდვა, ასევე ავტომობილების მომსახურების გაწევა (საბურავის შეკეთება, გადაგება - გადანაცვლება, ბალანსი და სხვა).

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2019 წელს შეადგენს 42 კაცს.

2. სამუშაო გარემო.

შპს „ემ ემ ეს ჯგუფის“ საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. თუმცა მისი საქმიანობა მოიცავს გარკვეულ რისკებს. მათ შორის რისკს, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა და შეფასებები

შპს „ემ ემ ეს ჯგუფის“ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

„კომპანიის“ ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი მოიცავს შემდეგს:

საპროცენტო შემოსავალი;

საპროცენტო ხარჯი;

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მოქმედ ვალუტაში, ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით (ქართული ლარი საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით).

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, მოქმედ ფულად ერთეულში.

უცხოური ვალუტის გადაყვანით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა გასაყიდად ხელმისაწვდომი კაპიტალის ინსტრუმენტების გადაყვანით გამოწვეული სხვაობებისა, რომლებიც სხვა მთლიან შემოსავალში აღიარდება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო 1 აშშ დოლარი - 2,8677 ლარი და 1 ევრო - 3,2095

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები (ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულება, ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი გასამრჯელო) ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე, რადგან ისინი აღირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც ხდება შესაბამისი მომსახურებების გაწევა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს.

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი ვალდებულება

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით)

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან

გათავისუფლებას, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდი

საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გაანგარიშდება

წმინდა განაწილების თანხის 15/85-ის სახით.

საგადასახადო ჩათვლა ვრცელდება გადახდილ მიმდინარე მოგების გადასახადზე 2008-2016 წლების

გაუნაწილებელ მოგებაზე რომელიც ნაწილდება 2017 წლიდან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიურ საქმიანობას, უფასო მიწოდებებს და სხვა წარმომადგენლობით ხარჯებს.

სასაქოლო-მატერიალური მარაგები

მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებების აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

ღირებულება მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივების შესყიდვას.

ძირითადი საშუალების ერთეულის გაყიდვით მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი

განისაზღვრება გაყიდვიდან მიღებული ამონაგების ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება წმინდა ფორმით სხვა შემოსავლით / სხვა ხარჯის სახით მოგებაში ან ზარალში ცვეთა დაირიცხება საგადასახადო მეთოდის მიხედვით (კლებადი ცვეთა) დადგენილი საგადასახადო კოეფიციენტების (პროცენტის) მიხედვით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის დებიტორული დავალიანება

განასხვავებენ მოკლევადიან და გრძელვადიან მოთხოვნებს. მოკლევადიანია

ის მოთხოვნები, რომელთა დაფარვა მოსალოდნელია წარმოქმნიდან ერთი წლის მანძილზე,

ხოლო გრძელვადიანი კი ის მოთხოვნები, რომელთა დაფარვა მოსალოდნელია წარმოქმნიდან 12 თვის შემდეგ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ფულადი ნაშთებისგან, ვადამდე დეპოზიტებისგან და ლიკვიდური ინვესტიციებისგან, რომელთა დაფარვის ვადაც შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს მათი შეძენის თარიღიდან, რაც ექვემდებარება მათ სამართლიან ღირებულებაში ცვლილებების განხორციელების მნიშვნელოვან რისკს.

მიწა

მიწას ცვეთა არ ერიცხება და აღირიცხება ბალანსში ცალკე .

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება საწარმოს არ გააჩნია

იჯარები

განმარტება იმისა მოიცავს თუ არა გარიგება იჯარას.

იჯარის საფუძველზე კომპანიის საკუთრებაში არსებული აქტივები, რომლებითაც კომპანიაზე გადადის არსებითად ყველა რისკი და საკუთრების უფლება კლასიფიცირდება ფინანსური იჯარის სახით.

თავდაპირველი აღიარებისას, იჯარით აღებული აქტივი ფასდება მის სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებას შორის უმცირესით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აქტივი აღირიცხება ამ აქტივის შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

შპს „ემ ემ ეს“ ჯგუფის შემთხვევაში იჯარა წარმოადგენს საოპერაციო იჯარას და იჯარით აღებული აქტივები არ აღიარდება კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში (აღრიცხვაში) აქტივის სახით.

გაუფასურება

გაუფასურების დამადასტურებელი ობიექტური მტკიცებულებები შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგს: მსესხებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან ვადაგადაცილება; „კომპანიის“ მიმართ არსებული დავალიანების თანხის რესტრუქტურირაცია ისეთი პირობებით, რომლის სხვაგვარად განხილვა „კომპანიას“ არ შეუძლია; ნიშნები იმისა, რომ მსესხებელი გაკოტრდება გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში,

4. ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები.

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც მოქმედებენ აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშგებო თანხებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება ხელმძღვანელობის გამოცდილებისა და სხვა ფაქტორების, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინის გათვალისწინებით, რომლებიც გონივრულია მოცემულ ვითარებაში. დაშვებების შემცველი მსჯელობების გარდა, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში ხელმძღვანელობა ასევე იყენებს კონკრეტულ მსჯელობებს. მსჯელობები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და იმ დაშვებებზე, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილებები,

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

1. მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე
2. ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულებისა და აგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.
3. აქტივის დემონტაჟისა და აღდგენის ღირებულების აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რომლის ვალდებულებასაც იღებს საწარმო ძირითადი საშუალების შემენის მომენტში.

საწარმოში ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, არჩეული გვაქვს თვითღირებულებით შეფასების მეთოდი და ცვეთის დარიცხვა ხორციელდება კლებადი ცვეთის დარიცხვის მეთოდის მიხედვით დადგენილი საგადასახადო პროცენტის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების მოძრაობა შპს „ემ ემ ეს ჯგუფში“ 2019 წელს:

	შენიშვნა ნაგებობები	მიწის ნაკვეთი	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა აქტივები	ჯამი
საწყისი (შესყიდვის) თვითღირ-ბა წლის დასაწყისში	526896	198799	70287	136271	81453	1013705
დაგროვილი ცვეთა წლის დასაწყისში	170373	0	40778	62610	49441	323202
საწყისი საბალანსო ღირ- ბა (წლის დასაწყისში)	356522	198799	29509	73661	32012	690503
შემენა 2019 წ. (თვითღირებულება)	0	0	11907	49579	3063	64549
დარიცხული ცვეთა 2019 წელს (საგასახადო %)	17826	0	7046	17122	6659	48653
გასვლა (საბალანსო ღირებულებით) 2019 წელს	0	0	0	5451	0	5451
ნარჩენი საბალანსო ღირ- ბა (პერიოდის ბოლოს) 01.01.20 წლისათვის	338696	198799	34370	100666	28416	700947

6. სასაქოლო-მატერიალური მარაგები

სასაქოლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შპს „ემ ემ ეს“ ჯგუფი მარაგების (საქონლის) მოძრაობას აღრიცხავს საშუალო შეწონილი აღრიცხვის მეთოდის გამოყენებით.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის კომპანიის დებიტორული დავალიანებები, რომელიც წარმოექმნება კომპანიას სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას. მოთხოვნები თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპანიის აქტივს, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას მრავალი მიზეზის გამო: პროდუქციის მიწოდება, სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა, მომწოდებლებისათვის გადახდილიაგანსები, გაცემული სესხები და სხვა

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები კომპანიაში აღრიცხულია მოკლევადიანი მოთხოვნების სახით, რომლის თანხების შემოსვლას (გადახდას) კომპანია რეალურად მოელის დებიტორებისაგან.

8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტი

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებით ფულადი სახსრების მოძრაობის გამოყენებით (შემოსავლისა და გასავლის მთლიანი ნაკადები კატეგორიების მიხედვით). ანგარიშგებაში მოცემულია ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტის ფაქტიური ნაშთი წლის ბოლოს საღაროში და საბანკო ანგარიშებზე. კომპანიაში ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისის აღრიცხვა წარმოებს ყოველდღიურად და ასევე თვეების მიხედვით.

9. სესხები

საწარმოს აქვს სესხის გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულება. ანგარიშგებაში ცალ-ცალკე ნაჩვენებია გრძელვადიანი და სესხის მიმდინარე წილი (2020 წლის ვალდებულება) თიბისი ბანკის მიმართ ეროვნულ ვალუტაში.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში გვერიცხება მოკლევადიანი ვალდებულება, როგორც იმპორტულ ასევე ადგილობრივი მომწოდებლების მიმართ. დავალიანების თანხების (რომლებიც საწარმოს აქვს მომწოდებლის მიმართ უცხოურ ვალუტაში) გადაფასება ხდება წლის ბოლოს 31 დეკემბრის ბანკის ეროვნული ოფიციალური კურსის მიხედვით და შესაბამისად გადაფასების თანხა (სხვაობა) აისახება საკურსო შემოსავალში ან საკურსო ხარჯში.

11. შემოსავლები

კომპანია შემოსავლებს აღრიცხავს დარიცხვის მეთოდის გამოყენებით

დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელმა შემოსავლები და ხარჯები უნდა აღრიცხოს შესაბამისად შემოსავლების მიღების უფლების მოპოვებისა და ხარჯების აღიარების მომენტის მიხედვით, შემოსავლების ფაქტობრივად მიღებისა და ხარჯების ფაქტობრივად გაწევის მომენტის მიუხედავად.

12 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვე-
ულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში საქონლის გაყიდვის შემდეგ. რეალური ღირებულება ასახავს
იმ თანხას, რომელზეც იგივე საქონელი შეიძლება გაიცვალოს ბაზრის მონაწილეებს შორის, ამ საქონლის
ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით
განხორციელებული ოპერაციის დროს. პირველი არის საწარმოსათვის სპეციფიკური ღირებულება,
უკანასკნელი კი არა. საქონლის ნეტო სარეალიზაციო ღირებულება შეიძლება არ უდრიდეს რეალურ
ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები.

13 სხვა საოპერაციო შემოსავალი

აღირიცხება შემოსავლები საოპერაციო იჯარიდან, ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, მარაგების
ჩამოწერის აღდგენა, სადაზღვევო მოთხოვნის ანაზღაურება, გაუფასურების თანხების აღდგენა. 2019 წლის
ანგარიშგებაშიასახულია შემოსავალი სატრანსპორტო საშუალების გაყიდვიდან რომლის დროსაც
გაუფასურებას ადგილი არ ქონია.

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგად , ადმინისტრაციულ და სხვა ხარჯებში ნაჩვენებია საწარმოს მიერ ცვეთის , საწვავის,
კომუნალური, საკომისიო, მივლინება ,რემონტი , ტექნიკური მომსახურება ,სარეკლამო, საგადასახადო
(ქონების , მიწის) და მომსახურების სხვადასხვა ხარჯები შესაბამისი დოკუმენტების (ზედნადები ,
ანგარიშფაქტურა,ინვოისი, ხელშეკრულება) საფუძველზე.

15. ფინანსური ხარჯი

შპს „ემ ემ ეს ჯგუფს“ 2019 წელს გაწეული აქვს ბანკის საპროცენტო და ასევე უცხოური ვალუტის კურსის
ცვლილებით გამოწვეული ხარჯები და საკომისიო ხარჯი.

16. ფინანსური შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი 2019 წელს საწარმოს არ გააჩნია, გააჩნია მხოლოდ უცხოური ვალუტის კურსის
ცვლილებით გამოწვეული შემოსულობები .

19. საწესდებო კაპიტალი

„კომპანიის“ ავტორიზებული და სრული შეტანილი საწესდებო კაპიტალი 01.01.2019 წელს შეადგენდა
100000 (ასიათას) ლარს .კაპიტალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში თანხები ასახულია
შინაარსის მიხედვით, მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი (ესტონური მოდელის) 2016 წელს
მიღებული კანონის გათვალისწინებით.

2019 წელს ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებულ მოგებამ შეადგინა 833686 ლარი .

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში ასახულია: 2019 წელს გაცემულ დივიდენდზე დარიცხული
გადასახდელი მოგების გადასახადი 141272,14 ლარი .

კაპიტალის საწყისი ნაშთი 01.01.2019 წლისათვის შეადგენდა 1945698 ლარს.აღნიშნულ თანხას ემატება 2019
წელს საქმიანობიდან მიღებულ მოგება 833686 ლარის ოდენობით, აკლდება 2019 წელს გამოცხადებული და

განაწილებული დივიდენდი მესაკუთრეებზე 800542 ლარის ოდენობით და განაწილებულ დივიდენდზე დარიცხული მოგების გადასახადი 141272 ლარი $(1945698+833686-800542-141272)=1837570$, კაპიტალი წლის ბოლოს შეადგენს 1837570 ლარს. გაუნაწილებელი მოგების კლებამ 2019 წელს შეადგინა 108128 ლარი. $(1945698-1837570=108128)$

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეადგენს 3810608 ლარს.

დივიდენდების თანხები თითოეულ დამფუძნებელზე დარიცხულია საწესდებო კაპიტალში მათ მიერ შეტანილი წილის მიხედვით.

20. მოგების გადასახადი

ადრე აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების დაბრუნება უკავშირდება ცვლილებას საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საგადასახადო პერიოდებისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში ამოქმედდნაწარმოების წარდგენის თარიღამდე 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ 2016 წელს სრულად აღიარა ცვლილების ეფექტი მიმდინარე პერიოდის გაუნაწილებელ მოგებაში. 2017 წლიდან გაცემულ დივიდენდზე გადასახდელი მოგების გადასახადის დარიცხვა ხორციელდება დარიცხული დივიდენდის 0,85 %-ზე გაყოფით, მიღებული სხვაობა არის გადასახდელი მოგების გადასახადი.

22. ფინანსური რისკების მართვა

რისკების მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან მიმართებაში. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა ღირებულების რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს.

„კომპანიის“ ხელმძღვანელობა განიხილავს დაუფარავი სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზს და აკონტროლებს ვადაგადაცილებულ ნაშთებს. შესაბამისად ხელმძღვანელობა თვლის, რომ მას შესწევს უნარი წარმოადგინოს საკრედიტო რისკთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ან სხვა ინფორმაცია.

ანგარიშების წარდგენაზე პასუხისმგებელი პირი

ტარიელ ესართია

